

საქართველოს კვლევის ინსტიტუტის დამფუძნებელი
საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისია

მიტოვებული ანგარიშის შეფასება

გურამ გრიგოლია
ეგრის-ლავის უმისახეობა

(კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერისიდიქციის
საგარეგნო ურთიერთობების განყოფილების)

თბილისი

2015

საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის ამჟამად მნიშვნელოვანია კვლევა იმისა, იყვნენ თუ არა განლაგებულნი დასავლეთ საქართველოში ბერძნული კათედრები IV-V საუკუნიდან, იმის შემდეგ რაც ქართული ეკლესია დაარსდა და ატოკეფალია მიიღო.

იყო თუ არა დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ?

ამ კითხვას ჯერ კიდევ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ გასცა პასუხი, რომ დასავლეთ საქართველო მუდამ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, რაც შეეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა სიაში (ნოტიციებში) ნახსენებ ლაზიკის საეპისკოპოსოებს, ისინი მდებარეობდნენ ქართველთა ისტორიულ ქვეყანაში – ქალდეაში, რომელსაც ამჟამად ლაზისტანს უწოდებენ, ტრაპეზუნტის ოლქში. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვანია პროფ. გ. გრიგოლიას კვლევები, რომელნიც ეთანადებიან რუის-ურბნისის კრებისა და წმ. სინოდის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

რედაქტორი პროფესორი ივანე გორგიძე

შესავალი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შემდეგ მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების მთლიანობას.

საეკლესიო სეპარატისტები იბრძვიან, რათა ქვეყნის მთლიანობის რღვევას თან დაურთონ საეკლესიო მთლიანობის შეზღავანების დაკანონება საერთაშორისო საეკლესიო ხელისუფალთა მიერ.

აფხაზმა ე.წ. „მიტროპოლიტმა“ დ. დბარმა მსოფლიო პატრიარქსა და მსოფლიოს ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს დაუგზავნა საჩივარი და მოთხოვნა „აფხაზეთის მართლმადიდებელთა საეკლესიო კრების“ სახელით.

დ. დბარი ზოგიერთ მეცნიერთა (და მათ შორის ქართველ XX ს-ის ისტორიკოსთა) ნაშრომებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ აფხაზეთი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შეყვანილია საეკლესიო კანონების, კერძოდ მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 და სხვა მრავალ კანონთა დარღვევით.

თუ ერთი ეკლესია შეიჭრება მეორე ეკლესიის იურისდიქციაში, მიიტაცებს და გააუქმებს იქამდე არსებულ საეპისკოპოსო კათედრებს, აღნიშნულ კანონთა ძალით ვალდებულია დატოვოს მიტაცებული იურისდიქცია (თუნდაც საუკუნეთა გასვლის მიუხედავად), აღადგინოს თავდაპირველი სტატუს-კვო, ანუ თავდაპირველი საეკლესიო იურისდიქცია.

დ. დბარმა საერთაშორისო არხების აქტიური გამოყენებით გაავრცელა და ავრცელებს ინფორმაციას, რომ საქართველოს ეკლესიამ თავდაპირველი ავტოკეფალია მოიპოვა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში, შემდგომ საუკუნეებში კი ის საეკლესიო კანონების დარღვევით დაეუფლა დასავლეთ საქართველოს.

დ. დბარი უცხოეთის საპატრიარქოებში გაგზავნილ წერილებსა და ინტერნეტ გამოცემებში ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკლესიამ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში მიიღო ავტოკეფალია, ამის შემდგომ კი მან IX-X საუკუნეებში უკანონოდ განახორციელა საეკლესიო იურისდიქცია დასავლეთ საქართველოში, მაშასადამე აფხაზეთშიც.

ამასთანავე, XX ს-ის ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის დაბეჯითებული მტკიცებით ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ IV-X საუკუნეებში, მთელი 500-600 წლის მანძილზე დასავლეთ საქართველო (ე.ი. აფხაზეთიც) თითქოსდა იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და იქ მდებარეობდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები ზიგანევისა (გუდაყვისა), საისინისა (ცაიშისა), როდოპოლისისა (ვარციხისა) და პეტრასი (ციხისძირისა), რომელნიც, თითქოსდა, 500-600 წლის შემდეგ გააუქმა საქართველოს ეკლესიამ და მათ ნაცვლად ქართული დაარსა.

როგორც აღინიშნა ამ მტკიცებებით ისარგებლეს საეკლესიო სეპარატისტებმა და ამჟამად არწმუნებენ საეკლესიო საერთაშორისო წრეებს ქართული ეკლესიის პროზელიტიზმში. თითქოსდა ქართულმა ეკლესიამ თავისი პროზელიტური ქმედებების შედეგად კონსტანტინოპოლის 500-600 წლოვანი იურისდიქცია დასავლეთ საქართველოში უკანონოდ გააუქმა, რადგანაც ავტოკეფალიის მიღების დროისათვის ამ რეგიონს ქართული ეკლესია არ ფლობდა. ის, მხოლოდ შემდგომ, პროზელიტური ქმედებით გაცდა თავის კანონიკური იურისდიქციის საზღვრებს და სხვისი საეკლესიო იურისდიქცია შეებლალა.

მართლაც, სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისში, დ. დბარმა მოახერხა აფხაზეთის საეკლესიო საკითხებით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაინტერესება.

ამის შედეგად, აფხაზეთის საეკლესიო საკითხების შესასწავლად საქართველოს რამდენჯერმე ესტუმრა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმ. სინოდის დელეგაცია, მაღალი იერარქების მონაწილეობით. ბოლოს, საკითხის დასარეგულირებლად თვით საქართველოს უწმიდესი პატრიარქი ილია მეორე ეწვია კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქსა და წმ. სინოდს, თავის დელეგაციასთან ერთად.

კონსტანტინოპოლში (სტამბულში) აფხაზეთის საეკლესიო საკითხი, მისი უწმიდესობის მიმართ უდიდესი პატივისცემის გამო, დროებით მოგვარდა, მაგრამ ქვეყნარსებების დასადგენად აუცილებელია შემდგომი კვლევა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის ამჟამად მნიშვნელოვანია კვლევა იმისა, ნამდვილად მდებარეობდა თუ არა დასავლეთ საქართველოში ბერძნული კათედრები IV-V საუკუნეში, ანუ იმის შემდეგ რაც ქართული ეკლესია დაარსდა და ავტოკეფალია მიიღო.

საკითხი ასე დგას, იმყოფებოდა თუ არა დასავლეთ საქართველო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში მისი დაარსებისა და ავტოკეფალიის მიღების დროისათვის, თუ ის კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა?

ამ კითხვას ჯერ კიდევ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ გასცა პასუხი, როცა თავის დადგენილებაში დაწერა, რომ I-IV საუკუნეებში დასავლეთ საქართველო (და ქართველთა ყველა სხვა რეგიონი) ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ამასთან დაკავშირებით ამ კრების დადგენილებაში, „ძეგლისწერაში“ ნათქვამია – „წმიდა ანდრია მოციქულმა იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა, ხოლო წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავესება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ანუ მათ ეპოქაში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა მთლიანი ისტორიული საქართველო და მთელი ქართვე-

ლი ერი, და შესაბამისად ამ საზღვრებში მიიღო მან ავტოკეფალია.

დასავლეთ საქართველო წმ. ანდრიას სამოღვაწეო არეალი იყო, რომელიც „ძეგლისწერის“ ამ მტკიცებით „ყოველი საქართველოს“ ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა, ამიტომ ანდრიამ დასავლეთ საქართველოში ქადაგებით – „ყოველსა ქვეყანასა საქართველოვსასა“ იქადაგა.

ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, IV-V საუკუნეებში, წმ. ნინოსა, წმ. მოციქულთასწორ მეფე მირიანისა და წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს ქართველ ერს ჰქონდა ერთიანი სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა დასავლეთ საქართველო. „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაბეჭდვითებით მიუთითებენ, რომ ქრისტეშობამდეც ქართველთა ერთიანი სახელმწიფო (იბერია ანუ „ქართლის სამეფო“) მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც.

სამწუხაროდ, ძველი საეკლესიო და ასევე, ძველი ქართული საისტორიო წყაროების იგნორირება მოხდა XX საუკუნის ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ.

საქართველოს რეალური ისტორიის კვლევა ეფუძნება ქართულ და უცხოურ წყაროებს.

ქართული წყაროების დაბეჭდვითული მტკიცებით, როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველო მუდამ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილს შეადგენდა. ქრისტეშობამდეც, აზო-ფარნავაზ-ქუჯის პერიოდიდან ვახტანგ გორგასლის შთამომავლებამდე ის იბერიის ანუ ქართლის სამეფოს ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა.

ახალი, XX საუკუნის ისტორიკოსთა ერთი ნაწილის თანახმად კი, ქართველ ერს ერთიანი სახელმწიფო ამ პერიოდში (ე.ი. IV-V სს-ში) არ ჰქონია, რადგანაც ბერძულ-ბიზანტიური წყაროების ცნობებით ლაზიკა იბერიაში არ შედიოდა. ამიტომ

მაც, მათი აზრით, ამ პერიოდის აღმწერელი ქართული და ბერძნული წყაროები არ ეთანადებიან ერთმანეთს, მათგან კი უპირატესობა უნდა მიეცეს ეპოქის თანადროულ ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებს, ხოლო ქართული წყაროები ამ საკითხთან დაკავშირებით სანდონი არ არიან.

მაშასადამე, უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ლაზიკის ლოკალიზაციის საკითხს. მისი (ლაზიკის) საკითხია სათავე აღნიშნულ წინააღმდეგობათა და გაუგებრობათა.

სად მდებარეობდა ლაზიკა?

თუ ლაზიკა მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, მაშინ ბერძნულ და ქართულ წყაროთა შორის წინააღმდეგობა ნამდვილად არსებობს, ხოლო თუ ლაზიკა მდებარეობდა უფრო სამხრეთით, ასეთ შემთხვევაში, ამ წყაროთა ცნობები ერთმანეთს არათუ შეენინააღმდეგებიან, არამედ ჰარმონიულად შეავსებენ კიდეც.

XX საუკუნის ისტორიოგრაფია ლაზიკას ათავსებს დასავლეთ საქართველოს ცენტრში, რიონის დაბლობზე, რიონის ხეობაში.

მართლაც, თუკი ლაზიკა იყო დასავლეთ საქართველოს შუაგული, მაშინ ქართული წყაროების ცნობები დასავლეთ საქართველოს მიმართ ეწინააღმდეგება ბერძნულს, ამის გამო XX საუკუნის ისტორიკოსები მას ლეგენდარულად და მცდარად მიიჩნევენ დასავლეთ საქართველოს მიმართ, რომელსაც არავითარი სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნია.

მაგრამ, თუკი დამტკიცდება, რომ ლაზიკა არ მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს ცენტრში, არამედ უფრო სამხრეთით, მაშინ გამართლდება ქართულ წყაროთა ცნობები და ის გადაიქცევა ამ საკითხში მთავარ წყაროდ. ამ შემთხვევაში ქართული და ბერძნულ ბიზანტიური წყაროების ცნობები ერთმანეთს დაემთხვევა და ისინი ერთმანეთს გააძლიერებენ და შეავსებენ.

მართლაც, აღმოჩნდა, რომ ლაზიკის მთავარი მდინარე ფაზისი ძირითადად იყო არა რიონი, არამედ ჭოროხი. ეს მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარეს პროფ. გურამ გრიგოლიამ, აკად. ნანა ხაზარაძემ და სხვებმა, რითაც ავტორიტეტი დაუბრუნეს ქართულ, მათ შორის საეკლესიო წყაროებს.

თუ ფაზისი იყო ჭოროხი, მაშინ ფაზისის ნაპირების მომცველი ლაზიკა უფრო სამხრეთით მდებარეობდა, და ამ შემთხვევაში ღირებულება უბრუნდება ქართულ წყაროებს.

არქეოლოგი და ისტორიკოსი პროფ. გურამ გრიგოლია მრავალი ათეული წელი წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელია საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტებისა. ის აღიზარდა ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსის კონსტანტინე გრიგოლიას ოჯახში და თვითონაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გამოჩენილ ისტორიკოსთა წრეში ტრიალებდა, შრომობდა და იღწვოდა. ამ გამოცდილებამ მას საშუალება მისცა სიღრმისეულად ჩანვდომოდა დღეისათვის ამოუხსნელ მრავალ იმ პრობლემას, რომელთაც ჩიხში შეიყვანეს საქართველოს ისტორიის გამოკვლევის საქმე.

**გუკამ გვიგთლია ვგვის-ლახიკის
სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის
აკობლემების უმსახე**

გ. გრიგოლიას აზრით, პროკოფი კესარიელსა და ბერძნულ-ლათინურ წყაროებს უნდა გამოუცხადოთ მეტი ნდობა, რადგანაც მათში გეოგრაფიული გარემო ზუსტად აღინერება – „შეიძლება მოხდეს დიდი ცვლილებები ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, დროთა განმავლობაში მოისპოს და გაჩნდეს ახალი სახელმწიფოები, დადგინდეს ახალი საზღვრები, „მაგრამ **სრულიად უცვლელი რჩება გეოგრაფიული ერთეულები, მთები, ზღვები, მდინარეები და სხვა, რომელთა ლოკალიზაცია უტყუარი ამოსავალია მისამართდაკარგული პუნქტების ადგილმდებარეობის დასადგენად**“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 31).

მდ. ფახისი, იგვიან, კავკასიან

გ. გრიგოლიამ ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროთა მიმოხილვით დაადგინა, რომ მდინარე ფაზისი ძირითადად არის არა მდინარე რიონი, არამედ მდინარე ქოროხი. მაგალითად, ის იხილავს პროკოფის ნაშრომს მდინარე ფაზისთან დაკავშირებით და წერს, **რომ პროკოფი მდინარე ქოროხს სათავეში უწოდებს ბოასს, ხოლო შუანელიდან ფაზისს. ფაზისი (ბოასი) მის დროს გამოდიოდა ქანეთის ახლო მდებარე „არმენიელთა ადგი-**

ლებიდან“, იქვე ყოფილა პუნქტი ფარანგიონი. ეს მდინარე სა-
თავეში ყოფილა თხელი წყალი, ფონების მქონე, ვიდრე იმ
ადგილებამდე, „სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო
პირისპირ კავკასიის მთა მთავრდება“. გ. გრიგოლიას აზრით,
სათავეებიდან ჭოროხის კალაპოტი ფართოა და დინებაც შე-
დარებით მდორეა დიდ მანძილზე. „ართვინთან კი იგი ექცევა
ვინროებში, მთებთან – აჯირახსა და მეზლასთან იცვლის მი-
მართულებას ჩრდილო აღმოსავლეთიდან ჩრდილო დასავლე-
თისაკენ და დიდი სისწრაფით მიექანება ზღვისაკენ“ (გ. გრიგო-
ლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობ-
ლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტი-
ტუტი, 1994 წ., გვ. 33).

გ. გრიგოლიას კიდევ სხვა მრავალი რეალურად არსებული
ფაქტი უმტკიცებს თვალსაზრისს იმისას, რომ პროკოფისეუ-
ლი ფაზისი არის მდინარე ჭოროხი, მაგალითად, პროკოფის
ცნობა, რომ „ლაზიკე ყველგან მდინარე ფასისის, როგორც აქე-
თა, ისე იქეთა მხარეზე გაუვალია, რადგან ქვეყნის ორსავე მხა-
რეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვი-
ნროებს ქმნიან“ აფიქრებინებს, რომ ამ ცნობაში ნამდვილად
ჭოროხი იგულისხმება და არა რიონი. რადგანაც რიონის სანა-
პიროებზე მდინარის მთელ პერიმეტრზე ვიდრე ზღვამდე კლდე-
ები არ არის, ხოლო ჭოროხის ნაპირებზე დიდ მანძილზე ნამდ-
ვილად წარმომართულია უზარმაზარი კლდეები, რომლებიც იქ
ნამდვილად ქმნიან ვინროებს. პროკოფის ცნობით, ასეთ გზას
რომაელები კლისურებს უწოდებენ.

კვლევის შედეგად გ. გრიგოლიამ დაასკვნა, რომ პროკოფის
მიერ ნახსენები ბოას-ფასისის მარჯვნივ მდებარე იბერთა არის
კლარჯეთ-კოლა-არტაანი და წერს „როგორც ჩანს სწორედ
ართვინთან გულისხმობს პროკოფი იბერიის საზღვრებს და
სწორედ აქედან მოყოლებული ლებულობს ფაზისის სახელს

ჭოროხი ანუ ბოასი. იგი წყალუხვია და ართვინიდან ქვემოთ მდინარეზე მთელი წლის მანძილზე მიმოდინად დიდი ზომის ნავე-ბი ანუ კიუკები, გარდა ზაფხულის დამდეგისა, როდესაც იწყება წყალდიდობა“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტო-რიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 33).

პროკოფის ფრაზა – „**აქ ფაზისის სხვა ბევრი წყალიც ემატება და ნაცვლად ბოასისა, ამიერიდან ფაზისათაა წოდებული**“ – გ. გრიგოლიას აზრით, გულისხმობს ართვინის სანახებს და წერს, რომ **ართვინამდე ჭოროხს ერქვა ბოასი, ხოლო ართვინის ქვე-მოთ ფაზისი, ხოლო პროკოფის მიერ ნახსენები „კავკასიის მთა“** გულისხმობს **კარჩხალის მთიანეთს და იქვე მდებარეობდა პრო-კოფის მიერ ნახსენები „კავკასიისა და იბერიის საზღვრები“**.

პროკოფი წერს: „ნაოსნობისათვის ფაზისი გამოსადეგია ვიდრე ზღვამდე და მის ორივე მხრით ლაზიკე არის, მაგრამ **მარჯვნივ ის ვიდრე იბერიის საზღვრებამდე** დასახლებულია ადგილობრივი მოსახლეობით. ლაზთა სოფლები ხომ აქ მდებარეობს მდინარისაქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთა-განვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, სებას-ტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე ღირსშესანიშ-ნავი ქალაქები კი აქ არის – როდოპოლისი და მოხირისი. მდი-ნარის მარცხნივ ერთი დღის სავალზე ლაზიკის საზღვარია. ეს მხარე ნაკლებ დასახლებულია და ამ **მხარის მეზობლად რომაე-ლები ცხოვრობენ, რომელთაც პონტოელები ეწოდებთ**“ (გეორგი-კა II, გვ. 100-102). გ. გრიგოლიას კვლევით, ამ ფრაზაში იგ-ულისხმება მდ. ჭოროხის სანაპიროები. კერძოდ, მარცხენა სანაპირო ისტორიულად, მართლაც, თითქმის დაუსახლებელი იყო, და ამ მხარეს მხოლოდ ზღვისპირა ციხე-სიმაგრე ხუფათი ანუ პეტრა მდებარეობდა, ხოლო ჭოროხის მარჯვენა სანა-

პირო, მართლაც, მჭიდროდ იყო და ახლაც არის დასახლებული, რადგანაც ამ მხარესაა უზემოსავლიანი ხელვაჩაურისა და ბათუმის რაიონები.

გ. გრიგოლიას კვლევით, მდინარე აკამფსისი ეწოდებოდა ზღვისპირთან ქოროხის მდინარე აღმოსავლეთ ტოტს (გეორგიკა, II, გვ. 122-123).

გ. გრიგოლია წერს, რომ პროკოფისმიერი ფასის-ბოას-აკამფსისის აღწერილობა სავსებით **წააგავს XIX საუკუნის მოგზაურების ოსმან ბეისა და დ. ბაქრაძის ცნობებს ქოროხის შესახებ** (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 32).

ლახიკის ქალაქები

პიფია-პიფიუსი

გ. გრიგოლია ეთანხმება პ. ინგოროყვას, რომ **პითია-პიტიუნტი** რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სინამდვილეში მდებარეობდა **რიზესთან** (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 89).

გ. გრიგოლია კვლავ უბრუნდება პ. ინგოროყვას თვალსაზრისს, რომ პითია რიზესთან მდებარეობდა და ეთანხმება მას – **„დამაჯერებლად გამოიყურება პ. ინგოროყვას ვარაუდი პითიას შესახებ, რომ პტოლემეაიოსის მიხედვით პითია მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა და ერქვა პიტიუსი – იგი ოფის ნავსადგურს უნდა ემთხვეოდეს“** (იქვე, გვ. 122).

V ს-ის ძეგლის **ნოტიცია დიგნიტატუმის** („ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“) მიხედვით – „**არმენიის სარდალს ექვემდებარება პონტოს სასაზღვრო ხაზი – ტრაპეზუნტი, პითია, ისულმენი, კენიე პარამბოლე, სებასტოპოლისი და სხვა**“ (იქვე, გვ.120).

თუ პითია ბიჭვინთაა, ხოლო სებასტოპოლისი – ცხუმი (როგორც ამჟამად მიიჩნევა), მაშინ ისინი (ბიჭვინთა და სოხუმი) არმენიაში ყოფილან მოქცეულნი ამ წყაროს მიხედვით.

გ. გრიგოლიას მიაჩნია, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის პიტიუნტი – ბიჭვინთა აღარ წარმოადგენდა სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს (არქეოლოგიური მასალების მოწმობით, იქ, სადაც იყო გარნიზონის მთავარი სადგომი, IV ს-ში გაუმართავთ კერამიკული ქურა). ამის გამო გ. ლორთქიფანიძე საერთოდ გამორიცხავს V საუკუნეში ბიჭვინთაში ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას (იქვე, გვ. 121).

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით IV-V სს-ში დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ იდგა ბიზანტიური გარნიზონები (იქვე, გვ. 122).

გ. გრიგოლია იმონებს ნ. ადონცს, რომ ნოტიციას შედგენილას აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი არ ეკუთვნოდათ რომაელებს, საერთოდ სხვაა აფხაზეთის პიტიუნტი და სებასტოპოლისი და სხვა, ნოტატია-ს პითია და სებასტოპოლისი (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., იქვე, გვ. 122).

სად მდებარეობდა პითია-პიტიუსა-პიტიუნტი?

გ. გრიგოლია წერს: „**დამაჯერებლად გამოიყურება პ. ინგოროყვას ვარაუდი პითიას შესახებ, რომ პტოლემეაიოსის მიხედვით პითია მდებარეობდა ტრაპეზუნტსა და რიზეს შუა და ერქ-**

ვა პიტეუსა (პიტეუსი) – იგი ოფის ნავსადგურს უნდა ემთხვეოდეს – (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 122). (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 253).

„ამ ვარაუდის სისწორეს მხარს უბამს IV ს-ის ავტორის ამიანე მარცელინეს ცნობა: **ტრაპეზუნტის გვერდით არსებობს სახელოვანი ქ. პიტეუნტი**“ – (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 123).

მაშასადამე, ამ ლაზიკის **პიტეუნტიდან** იყვნენ მინვეულნი ეპისკოპოსები I მსოფლიო კრებაზე და არა აფხაზეთიდან, ბიჭვინთის საეკლესიო სიდიადე მხოლოდ ქართულ ეკლესია-სთანაა დაკავშირებული და არა ბერძნულთან.

პეტა

გ. გრიგოლიას კვლევით, **პეტრა ერქვა არა ციხისძირს, არამედ ხოფას (ხუფათს)**. ეთანხმება პტოლემეაიოსს, რომ სე-ბასტოპოლისი იყო აფსაროსსა და ფაზისს (ჭოროხს) შუა და ამავე აზრისა იყო პ. ინგოროყვაც (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 96).

გ. გრიგოლია წერს, რომ „**პეტრას** კათედრა პირველად ს. ყა-უხჩიშვილმა დაუკავშირა პეტრას ციხე-ქალაქს“ (იქვე, გვ. 15).

ასეთი დაკავშირება საფუძვლიანი არ იყო, რადგანაც ბი-ზანტიურ სამყაროში, როგორც წესი საეპისკოპოსო კათედრე-ბი არსდებოდა მხოლოდ ხალხმრავალ, მნიშვნელოვან ქალაქებში (და არა ისეთ ადგილას, სადაც იყო მოსახლეობის სიმცირე).

პეტრას ციხე, თვით პროკოფის ცნობით, იუსტინიანემდე უკაცურ, დაუსახლებელ ქვეყანაში მდებარეობდა (ფასისის მარცხენა დაუსახლებელ სანაპიროზე), აქ ციხე-ქალაქი დააარსა იუსტინიანემ 530-იან წლებში, მაგრამ რამდენიმე წელიწადში თვითონ ბერძნებმა დაანგრეს, ამიტომაც, ბიზანტიური წესების შესაბამისად, ის არ იყო საეპისკოპოსო კათედრისათვის შესაფერისი ადგილი.

პეტრას ციხე-სიმაგრე ჩვენ არ უნდა მივიჩნიოთ პეტრას საეპისკოპოსო კათედრად, არამედ ეს კათედრა შეიძლება ვეძიოთ სხვაგან, პეტრას კათედრის მდებარეობა არ არის სავალდებულო ზღვის პირას, რადგანაც წყაროები ამის შესახებ არ მითითებებს, აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზანტიასა და ლაზიკაშიც მრავალი პეტრა, პეტრონი თუ პეტროლალი არსებობდა.

საფიქრებელია, რომ იუსტინიანეს ნოველაში 535 წელს ნახსენები **პეტრა** იყო მხოლოდ ციხე-სიმაგრე და არა საეპისკოპოსო ცენტრი (მაშასადამე პეტრას სიმაგრე სხვაა, ხოლო პეტრას კათედრა სულ სხვაგან მდებარეობდა). როგორც ვთქვით **პეტრას** ციხე-სიმაგრე მხოლოდ ორიოდ ათეული წელი არსებობდა. ამ მიზეზთა გამო ნ. ადონცი პეტრას საეპისკოპოსო ცენტრს ქ. ბაიბურდთან ათავსებდა ისტორიული ლაზიკის მაღალმთიან და კლდოვან რეგიონში.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, II საუკუნეში, რომის იმპერიაში ლაზიკას ჩამოაჭრა ტერიტორია სამხრეთიდან და ის შეიყვანა კაბადოკიის პონტოს შემადგენლობაში – (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 130).

დანიელ მესვეტის ცხოვრების მიხედვით, V ს-ში, საზღვრად იმპერატორ ლეონ I-ის (457-474) დროს ბიზანტიასა და ლაზიკას („მეგრელთა აფხაზეთის სამეფოს“) შორის ციხე ხუფათი იყო დადგენილი (მეფე გუბაზ I-ის დროს) (იქვე, გვ. 138).

ხუფათი დღევანდელი ხოფაა, მაშასადამე, აქ გადიოდა საზღვარი ლაზიკასა და ბიზანტიას შორის (იქვე, გვ. 138).

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, სწორედ ხუფათში აუშენებიათ ბიზანტიელებს (VI საუკუნეში) ქ. პეტრა.

ციხე-სიმაგრე **პეტრა** – ბიზანტიის იმპერიის ჩრდილოეთის კარი ყოფილა (იქვე, გვ. 25), მდებარეობდა საშინელ კლდოვან-ქარაფოვან ადგილას, რომელსაც კარგად აღწერს გ. გრიგოლია პროკოფი კესარიელზე დაყრდნობით. ამიტომაც მიიჩნევს, რომ **პეტრა არ არის ციხისძირი, მისი აზრით, როგორც ითქვა, პეტრა – ხოფაა, ძველი ხუფათია, რომლის კლდეები ერთგვარი გეოგრაფიული საზღვარია ტრაპეზუნტიდან დასავლეთ საქართველოსაკენ მიმართულ დადაბლებული არესაკენ. ამიტომაც, ამ ბუნებრივ ჩამკეც საზღვართან იჯდა იოანე-ციხე – სავაჭრო მონოპოლისტი, რომელმაც პეტრას მეშვეობით ხელში ჩაიგდო მთელი ქოროხის ხეობის (იმჟამინდელი ბერძნული ლაზიკის) მონოპოლია.**

გარდა სტრატეგიული მდებარეობისა, პეტრა უნდა ყოფილიყო სავაჭრო გზის ჩამკეტიც, არა უბრალო, არამედ საერთაშორისო გზისა. ის აკონტროლებდა „ჩვენ ლაზიკას“, რომლის ათვისების შემდეგ „არაჩვენი ლაზიკის“ დაპყრობის დროც უნდა დამდგარიყო, ეს ჩანს, მართლაც, ასე მოხდა ბიზანტიელების ქანეთში ლაშქრობათა დროს.

გ. გრიგოლიას დასკვნით, პეტრას ომები იმართებოდა არა ყვირილა-რიონის, არამედ ქოროხის ხეობაში, ხუფათთან (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 56). „ჩვენ ლაზიკაში“ შედიოდა მესხეთის ერთი ნაწილიც – ისტორიული კლარჯეთი.

ზიგანა, მთხატა, ატდასი

გ. გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს, რომ ნოტიციის ზიგანა ტრაპეზუნტიდან არდასაში მიმავალ გზაზეა – ესაა ზიგანას უღელტეხილის (6640 ფუტი) სამხრეთ გვერდზე მდებარე ზიგანა, რომელსაც დღესაც ასე ეწოდება. ხოლო მოხორა – ზიგანას აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 122, ნ. ადონცი, „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“, 1908. გვ. 100).

გ. გრიგოლიას აზრით, ზიგანა და მოხორა ისტორიულ ქანეთშია (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 122) **და არა დასავლეთ საქართველოში.**

კერძოდ, თუკი **ზიგანა** რომელზეც წერენ ძველი ავტორები მდებარეობდა ტრაპეზუნტთან, ცხადია ზიგანას („**ზიგანევის**“) საეპისკოპოსოც იქვე იყო და არა დასავლეთ საქართველოში.

გ. გრიგოლია არ ეთანხმება დღემდე არსებულ, ძირითადად ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ ზიგანა (ზიგანეოსი), პიტია, სებასტოპოლისი და სხვა პუნქტები მდებარეობდნენ ცხუმთან, მოხორა – ქუთაისთან.

გ. გრიგოლია ეთანხმება ნ. ადონცს (ნ. ადონცი, არმენია არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, 1908, გვ. 100), რომ ნოტიციის ზიგანა ტრაპეზუნტიდან **არდასაში** მიმავალ გზაზეა, ზიგანას უღელტეხილთან (6640 ფუტ სიმაღლეზე), რომელსაც დღესაც ასე ეწოდება. ხოლო **მოხორა** – ზიგანას აღმოსავლეთით მდებარე სოფელია დღესაც (გ. გრიგოლია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31, გვ. 122). უთითებს ნ. ადონცის.

აქედან გამომდინარე, ცხადია, ბერძნული საეპისკოპოსოებიც არ უნდა ვეძიოთ დასავლეთ საქართველოს შესაბამის პუნქტებში.

მაშასადამე, ზიგანას საეპისკოპოსო, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი ზიგანევისას უწოდებს, მდებარეობდა არა ცხუმთან (გუდაყვაში), როგორც მიჩნეულია ს. ყაუხჩიშვილის შემდეგ, არამედ ტრაპეზუნტთან.

გ. გრიგოლია არ ეთანხმება ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს, რომ მაგალითად ზიგანა იყო – გუდაყვა, პითია – ბიჭვინთა, სებასტოპოლისი და დიოსკურია – ცხუმი, მოხორა კი – მუხურისი.

თურქეთის ქალაქ გუმუშხანეს ტურისტული ბუკლეტების მიხედვით, შთამბეჭდავი კათედრალები, საეპისკოპოსო ეკლესიები დღესაც დგანან **ზიგანას უღელტეხილის** რეგიონში, მათ ამჟამადაც ასევე უწოდებენ კიდეც „**სამიტროპოლიტო კათედრები**“ (ასეთი სულ ორია) და დღესაც იქ ტურისტული მარშრუტები გადის, ზიგანას უღელტეხილი კი ისტორიულ კოლხიდაში, ლაზიკაში მდებარეობდა თავის დროზე, ტრაპეზუნტიდან 70 კმ დაშორებით.

აფსარუ-აფსარუსი-აბჯამი

გ. გრიგოლია იმონმებს პროკოფის ცნობას, რომ „**აფსარუ**“ მდებარეობდა ათინასთან, ხოლო აფსარუს (აფსაროსის?) გვერდით არქაბი მდებარეობდა. **არქაბი** დღესაც ეწოდება პუნქტს რიზესთან. პროკოფი ახსენებს კიდეც **რიზეს** – „ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსარმენამდე და რიზემდე, რომელიც ორი დღის საზღვაო გზითაა დაშორებული ტრაპეზუნტს... რიზეს მოსდევს მინა-წყალი ერთი ხალხისა, რომლებიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობენ. იქ მდებარეობს ათინა, არქაბე და აფსარუ (სამი დღის გზითაა და-

შორებული რიზეს), ის ძველად **აფსურტად** იწოდებოდა“ (გეორგიკა, II, გვ. 121-123, იქვე, გვ. 58).

ფასისი-სემასცაპლისი

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, კასტორიუსის რუკის ანუ **ტაბულა პევტენგერიანას** მიხედვით (**სეგმენტი XI-XII**) მნიშვნელოვანი **გზა სომხეთის ძველ დედაქალაქ არტაშატიდან მიემართებოდა სებასტოპოლისაკენ**. ი. მანანდიანის მიხედვით, ეს გზა გაივლიდა ფარავნის ტბასთან სოფელ ფოკას (**პაგას**), აქედან აბულის მთას (**აპულუმ**), სოფ. ხოსპიოს (**ჩასპია**) შემდეგ უცნობ პუნქტ **„ად მერცურიუმ“**-ს, შემდეგ **„ად ფონტენ ფელიცემ“**-ს, და შედიოდა **სებასტოპოლისში** (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 106).

დაშორება ასეთი იყო: ად ფონტენ ფელიცემიდან სებასტოპოლისამდე იყო **90 კმ ანუ 60 რომაული მილი** (იქვე, გვ. 106).

ჩვენი ქართული ისტორიკოსების მითითებით ად ფონტენ ფელიცემ – არის ვარციხე (როდოპოლისი), მაგრამ ვარციხე სებასტოპოლისად მიჩნეულ ცხუმს არა **90 კმ-ით** არამედ სამჯერ მეტი მანძილითაა **165 კმ დაშორებული!** – ნერს გ. გრიგოლია.

ე.ი. ვარციხის განსაზღვრება არასწორია – აქედან გამოსავალს ი. მანანდიანი ხედავს იმით, რომ ემხრობა პროფ. ერემიანის აზრს (კიპერტზე დაყრდნობით) – **„ქ. ფასისი ტრაიანეს დროიდან (98-117) სებასტოპოლისად იწოდება“** (იქვე, გვ. 107).

ზოსიმეს ცნობით (გეორგიკა I) იმპერიის საზღვარი აღწევდა მდ. ფასისამდე, აქვე, მახლობლად მდებარეობდა გ. გრიგოლიას

თვალსაზრისით სებასტოპოლისი-ციხისძირი. ფასისი – სებასტოპოლისია (ერემიანი) (იქვე, გვ. 107). ქ. ფაზის ერთ პერიოდში დაერქვა სებასტოპოლისი, ასევე მას პიტიუნტიც ეწოდა (ზღვისპირას რამდენიმე პიტიუნტი და სებასტოპოლისი მდებარეობდა, ოღონდ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში).

სემასტოპოლისი-პიტიუნტი

პროკოფის მიხედვით სებასტოპოლისი-პიტიუნტი ლაზიკაში ფაზისთან ახლოს მდებარეობდა (გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 30).

სებასტოპოლისის პიტიუნტთან ახსენებს იუსტინიანე, ოღონდ მას ეს ქალაქები შეჰყავს პოლემონოს პონტოში და არა ლაზიკაში, მისი სიტყვით ლაზიკა პიტიუნტისა და სებასტოპოლისის იქით მდებარეობდა.

იუსტინიანე წერდა – პოლემონოს პონტოს ქალაქებია – ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემონიონი, პიტიუნტი და სებასტოპოლისი – „მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელიც ჩვენ ვაქციეთ ქალაქად და დავარქვით ჩვენი სახელი – იუსტინიანე“ (გეორგიკა, II, გვ. 33-35).

ე.ი. „ლაზიკე“ მდებარეობდა პიტიუნტ-სებასტოპოლისის შემდეგ, ჯერ არის სებასტოპოლისი და შემდეგ ლაზიკა. **„მათ შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე“ – წერდა ის.**

მეტე სემასტოპოლისი – აქსატოსთან

ჩანს, არსებობდა სხვა სებასტოპოლისიც. კლავდიოს პტოლემე-მაიოსის წიგნში – „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ წიგნი V, თავი VI – ჩამოთვლილია კაბადოკიის ადგილები, კერძოდ, მდ. აფსაროსისა და მისი შენაკადი ლიკოსის შემდეგ დასახელებულია **სებასტოპოლისი**. ის დასახელებულია ქალაქების ჩამონათვალთა ბოლოში – ის, ჩანს ითვლება კაბადოკიის უკიდურეს სასაზღვრო პუნქტად (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 128).

ცხუმის სებასტოპოლისი შეუძლებელია ყოფილიყო კაბადოკიის სასაზღვრო პუნქტი.

პტოლემემაიოსის მიხედვით მდ. აფსაროსი არაა მდ. ფაზისი, თუმცა ორივეს ერთიდაიგივე დასახელების შენაკადი აქვს, ის აფსაროსსა და ფასისს შორის ათავსებს ქ. სებასტოპოლისს (იქვე, გვ. 141).

სებასტოპოლისი, პტოლემემაიოსის მიხედვით, მდებარეობდა კოლხეთის სამხრეთით. კოლხეთი მდებარეობდა კაბადოკიის შემდეგ, იწყებოდა დიოსკურია-სებასტოპოლისით და მთავრდებოდა მდ. ფასისით. ჩრდილოეთიდან „კოლხეთი მთავრდება ფაზისით“, „სამხრეთიდან ესაზღვრება კაბადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი“ (იქვე, გვ. 128).

კასტორიუსის რუკის ანუ ტაბულა პევტენგერიანას (სემენტი XI-XII) გზა, რომელიც სომხეთის ძველ დედაქალაქ არტაშატიდან მიემართებოდა სებასტოპოლისაკენ იყო არა მდ. ფაზისის (ჭოროხის) მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარე გზა, არამედ გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარე გზა, რომელიც არმენიის ქალაქ არტაშატს კაბადოკიის ჩრდილო ნაწილთან აერთებდა, რომლის მახლობლადაც მდებარეობდა კოლხიდის სამხრეთში მდებარე მეორე სებასტოპოლისი. შესაძლოა, არ-

ტაშატის დედაქალაქობის დროს ლაზიკა ჯერ კიდევ ფლობდა ოფრიზსაკენ მდებარე მიწებს, ხოლო V საუკუნეში მისი ტერიტორია შემცირდა და ბიზანტიასთან მისი საზღვარი ხოფა-ხუფათთან განისაზღვრა.

სემასცმადლისი-ციხისძიძი,
ნთქალაქევი-აძქმადლისი,
თთი, კუფაია-ქუთაისი

კასტორიუსის რუკის ანუ **ტაბულა პევტენგერიანას** მიხედვით (**სეგმენტი XI-XII**) მნიშვნელოვანი **გზა** – მაგისტრალი გ. გრიგოლიას სიტყვით, არ შედის **ნოქალაქევი**, რომელიც „ეგრისის დედაქალაქი“ იყო რუკის შედგენის დროს (III-IV სს-ში), **გ. გრიგოლიას აზრით „ძნელი წარმოსადგენია, რომ გზას გვერდი აველო დედაქალაქისათვის და კასტორიუსს იგი გამოორჩენოდა“** (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, 1994 წ., იქვე, გვ. 108).

გ. გრიგოლიას თქმით, რუკაზე ფოთშიც არ შედის გზა და ასევე გზაზე არ ჩანს კუტაია – ქუთაისი (იქვე, გვ. 109).

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ტაბულა პევტენგერიანას რუკის გზები ასახავს არა დასავლეთ საქართველოს მონაკვეთს, არამედ გზას არტაშატიდან – ჭოროხის შესართავის რეგიონის ქალაქებისაკენ, სადაც უნდა ვეძიოთ არქეოპოლისი, კუტაია და სხვა ქალაქები.**

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, სებასტოპოლისი არის ციხისძირი, აქ შედიოდა ტაბულა პევტენგერიანას გზა (გ. გრიგოლია, იქვე, გვ. 113).

გ. გრიგოლია მიიჩნევს, რომ ჭოროხის მარჯვენა სანაპიროდან იბერიამდე მდებარე ადგილები (ანუ პროკოფის სიტყვით, ფასისის აქეთა ნაპირას მდებარე) მოიცავდნენ დასავლეთ საქართველოს სიღრმეებს, მაგრამ თვითონვე წერს, რომ პროკოფი ამ შემთხვევაში იბერიას უწოდებდა შემდეგდროინდელ ართვინ-არტანუჯ-არტანის მიმდებარე მხარეებს. აქედან გამომდინარე, ლაზიკის ის ცნობილი სოფლები და ქალაქები, რომლებიც მდინარე ფასისის მარჯვნივ იბერიამდე იყვნენ განლაგებული მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოს სიღრმეებში, არამედ ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე კოლა-არტანის მიმართულებით, შესაბამისად, პროკოფის მიერ აღწერილი ცნობილი ქალაქები **როდოპოლისი და მოხირისი მდებარეობდნენ ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ერგე-ლივან-კლარჯეთის ტერიტორიაზე, ასევე, პროკოფის მიერ ნახსენები „იბერიის საზღვრებისაკენ“ მდებარე სკანდა და სარაპანი უნდა ვეძიოთ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ არტანუჯ-არტანის შემაერთებელ გზაზე. ეს გზა ჭოროხის ანუ ფასისის შესართავს აკავშირებდა იბერიის (ანუ არტანის) გავლით სომხეთსა და სპარსეთთან. სწორედ ამ გზის დასაცავად იყო აგებული აღნიშნული ციხეები სკანდა და სარაპანა.**

სომეხებისა და ლაზიკის უბრძოლველად

აღსანიშნავი უბრძოლველი გზა

ხოფადან ქოროხისაკენ და აქედან აღმოსავლეთით იბერიისაკენ, არმენიასა და პერსარმენიისაკენ მიმავალი გზა ძველთაგანვე არსებობდა, ამის შესახებ არაერთ ცნობას ვხვდებით ქართლის ცხოვრებაში.

ხუფათიდან იბერიისაკენ გამავალი გზა მიემართებოდა ქოროხის ხეობაში და იმდენად ყოფილა გაკვალებული, რომ ზამთრის პერიოდშიც კი არ ფერხდებოდა მასზე ხალხთა დიდი მასების მოძრაობა. „ასეთი იყო ეს გზა განვითარებულ შუა საუკუნეებში და ასეთივე უნდა ყოფილიყო უფრო ადრეც, პროკოფის დროსაც. ამ გზის ერთ ბოლოში მდებარეობს ხოფა, სადაც ჩვენ პეტრას არსებობას ვვარაუდობთ“ (გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994, გვ. 65).

ქოროხის გზასთან დაკავშირებით გ. გრიგოლია იმონწებს ახ.წ. V ს-ის ავტორს **პრისკე პანიონელს და ასკვნის, რომ სომხეთსა და ლაზიკას შორის უფრო ადრეც არსებობდა უმოკლესი გზა** (იქვე, გვ. 126).

პრისკე პანიონელი თავის ისტორიაში, 433-474 წლების ამბების აღწერისას, შეეხო რომაელების უშედეგო ლაშქრობას ლაზიკაში, მათ უკან დაბრუნებისას გადაწყვიტეს დაეგეგმათ ლაზიკაზე ახალი თავდასხმა – „ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის გზით დაენწყოთ ომი, ზღვით კი შეუძლებელი იყო ცურვა, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო და ძნელსავალი ადგილები ჰქონდა მისადგომად (იქვე, გვ. 127).

პრისკე პანიონელის ცნობათა ანალიზის შედეგად გ. გრიგოლიამ დაასკვნა: 1) კოლხეთი (ლაზიკა) „უმოკლესი გზით“ უერთ-

დებოდა არმენიას; 2) ლაზიკა და არმენია მეზობლები იყვნენ, საერთო საზღვარი ჰქონდათ; 3) კოლხეთის ზღვისპირი იყო კლდოვან-ქარაფოვანი.

გ. გრიგოლიას დასკვნით, კოლხეთის ქვეშ პრისკე პანიონელი არ გულისხმობს თანამედროვე დასავლეთ საქართველოს.

პრისკე პანიონელის მიერ ნახსენები კოლხიდის ე.წ. „არმენიის გზა“ უნდა იყოს ართვინ-არტანუჯ-არტაანის დამაკავშირებელი გზა, რომელიც არტაანიდან უშუალოდ შედიოდა სომხეთში და მიემართებოდა დვინისაკენ. მის ერთ მონაკვეთს ქართულ წყაროებში „გზა კლარჯეთისა“ ერქვა.

ესაა დვინი-ართვინის დამაკავშირებელი უმოკლესი მაგისტრალი (იქვე გვ. 127).

ეს გზა ბიზანტიურ სამყაროს აერთებდა სპარსულთან.

გზა იწყებოდა ხოფა-ხუფათში, რომელსაც გ. გრიგოლია პეტრად მიიჩნევს.

გ. გრიგოლია წერს: „ხოფა უმოკლესი გზით უკავშირდება ჭოროხის ხეობას სოფ. ფორჩხასთან. ჭოროხის ზემო წელიდან მიმავალი გზა ართვინთან იყოფა ორად, ერთი ტოტი ყარსისა სომხეთისაკენ მიემართება, **ამ გზით ნაიყვანეს ლაზებმა მეფე ხოსრო ანუ შირვანი პეტრას წინააღმდეგ.** როგორც პროკოფის ცნობიდან ვგებულობთ, სპარსელებმა გადალახეს ბოასი (ჩვენი გაგებით, ჭოროხის ზემო წელი) „...და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ“. ჩვენი ვარაუდით, სპარსელებს ჭოროხი უნდა გადაელახათ ართვინის ზემოთ, 10-15 კმ მოშორებით, იქ სადაც იმერხევისა და ჭოროხის შესართავია. შემდეგ ფასისის მარცხენა ნაპირით ქვემოთ ეშვებიან ფორჩხამდე და აქედან, უმოკლესი გზით უღელტეხილის გადავლითა და მდ. ხოფას ხეობით, მიდიან პეტრაში. ჩანს, რომ **იგივე გზა გაიარეს ლაზიკაში მეორედ შემოსულმა სპარსელებმა,** ამჟამად უკვე **მერმეოეს** მთავარსარდლობით რომ მიემართე-

ბოდნენ რომაელების მიერ ალყაშემორტყმული პეტრას დასახ-
მარებლად. პროკოფის ცნობით, „იმან (მერმეროემ – გ. გ.) არ
მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რათა მას რაიმე
დაბრკოლება არ შეხვედროდა“, და ისე იარა პეტრამდე, რომ
„ფასისი მარჯვნივ ჰქონდა“. ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული-
დან გამომდინარე, ჭოროხის სახით გაგვაჩნია ის მყარი, საიმე-
დო ნიშანსვეტი, რომელიც საძიებო ქალაქ პეტრას არსებობას
ხოფას სანახებში მიგვითითებს“ – წერს გ. გრიგოლია.

გ. გრიგოლიას დასკვნა:

გ. გრიგოლია იმონმებს ნ. ადონცს, პ. ინგოროყვას, ვ.
ლექქინაძეს, ნ. ლომოურს და ასკვნის, რომ ნოტიციის 11 პუნ-
ქტიდან ათი მდებარეობდა არა თანამედროვე დასავლეთ
საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტთან. კერძოდ, **ტრაპეზუნტ-
სა და სატალას შუა მდებარეობდნენ ზიგანა, ხაძანა, სილუანა,
მოხორა და ავიძა, ხოლო ტრაპეზუნტის ჩრდილოეთით ჭოროხის
შესართავამდე – ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუ-
სი), კენე პარამბოლე (ახალი ბანაკი), ვალენტია (აფსაროსი),
ხოლო მეთერთმეტე – სებასტოპოლისი კი, მისი აზრით, არის
ციხისძირი (იქვე, გვ. 123).**

„ამრიგად, არმენიის სამთავარსარდლოში ნოტიციის მიხედ-
ვით დასახლებული 11 პუნქტიდან ხუთი – ზიგანა, ხაძანა, სი-
ლუანა, მოხორა და ავიძა – თავსდებიან ტრაპიზონის სამხრეთით,
ტრაპიზონსა და სატალას შორის. დანარჩენი ხუთი – ტრაპიზო-
ნი, ჰისის ნავსადგური (სურმენე), პითია (პიტიუსი), კენე პარამ-
ბოლე (ახალი ბანაკი) და ვალენტია (აფსაროსი) – ტრაპიზონი-
დან ჩრდილოეთით – სამხრეთ შავიზღვისპირზე (იქვე, გვ. 123).

გ. გრიგოლიას დასკვნები ცვლის ამჟამად არსებულ წარ-
მოდგენებს დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის
შესახებ, ისინი ძალზე მნიშვნელოვანია ეკლესიის ისტორიი-

სათვის, ენინაალმდეგება XX ს-ში ჩვენში გაბატონებულ თვალ-საზრისს, რომ კონსტანტინოპოლის ფასისის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები, თითქოსდა, დასავლეთ საქართველოში მდებარეობდნენ.

გ. გრიგოლიას დასკვნით, ამჟამად გაბატონებული თვალ-საზრისი ეყრდნობა პროკოფი კესარიელისა და სხვა ძველი ავტორების ცნობებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და არ შეეფერებოდა სინამდვილეს. გ. გრიგოლიას თვალსაზრისი კი ეთანადება ძველ ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც საერთოდ არ იცნობს დასავლეთ საქართველოში ბერძნული საეპისკოპოსოების არსებობას, ნ. ადონცი ლაზიკის საეპისკოპოსოების მდებარეობას ტრაპეზუნტისაკენ მიუთითებდა.

ზოგადი დასკვნა

გ. გრიგოლიას კვლევით, ცნობილი პიტია, პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში ქართველთა უძველეს ქვეყანაში, არამედ ქართველთა მეორე, უფრო სამხრეთით მდებარე ისტორიულ მხარეში, ლაზიკაში, თანამედროვე რიზე-ათინასთან.

პიტიუნტის ადგილმდებარეობის შესახებ ასევე ფიქრობდნენ დიდი პავლე ინგოროყვა და ცნობილი მეცნიერი პროფ. ნ. ადონცი. ეს მტკიცება იმითაა საინტერესო, რომ მთლიანად არღვევს სეპარატისტთა მიერ „მოძიებულ“ მტკიცებებს ე. წ. „აფხაზეთის ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის საფუძვლები“ შესახებ.

აფხაზი სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ პიტია-პიტიუნტის საეკლესიო კათედრა აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის საფუძველია და ეს კათედრა იმდენად ავტორიტეტული იყო, რომ მისმა ეპისკოპოსმა სტრატოფილემ 325 წლის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში მიიღო მონაწილეობა, იმ დროს, როცა ქართული ეკლესია ჩამოყალიბებულიც კი არ იყო.

პროფ. გ. გრიგოლიას, პროფ. ნ. ადონცისა და პ. ინგოროყვას აზრით კი, ისტორიული პიტიუნტი მდებარეობდა ლაზიკაში, რიზესთან ახლოს, ეს მტკიცება მთლიანად ეთანადება გელასი კესარიელის IV საუკუნის ცნობას, რომ ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ მოაქცია არა მარტო იბერები, არამედ ლაზებიც, ე.ი. მთელი ქართველი ერი – „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, როგორც წერს რუის-ურბნისის კრება.

წმიდა ნინომ რომ მოაქცია ლაზიკა და ამასთანავე დაარსა კიდეც ლაზიკის მთავარი საეპისკოპოსო კათედრა ოფ-რიზეს რეგიონში, ამის შესახებ წერდა ლაზიკის XVII საუკუნის მიტროპოლიტი გერმანე რუსეთის მეფისათვის გაგზავნილ ცნობაში. აქედან იყო რიზესთან მდებარე პიტიუნტის საეპის-

კოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში, და არა აფხაზეთის პიტიუნტიდან.

მართალია, აფხაზეთში მდებარეობდა ბიჭვინთის ცნობილი საეკლესიო ცენტრი, მაგრამ ის დაარსებული იქნა ქართული ეკლესიის მიერ ცოტა მოგვიანებით, ის ქართული ეკლესიის ერთ-ერთ უმთავრეს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა მუდამ, თავისი ისტორიის მანძილზე, და არა ბერძნულსა.

ასევე, გ. გრიგოლიას კვლევით, აფხაზეთის სებასტოპოლისი (ცხუმთან) სხვაა, ხოლო ბიზანტიური წყაროების სებასტოპოლისი სხვა. თუ ეს ასეა, მაშინ აფხაზ საეკლესიო სეპარატივობა კიდევ ერთ მტკიცებას ეცლება საფუძველი ე.წ. სებასტოპოლისის (აბაზგიის) ავტოკეფალურ ეკლესიასთან დაკავშირებით.

ბიზანტიურ წყაროთა ცნობებით, სებასტოპოლისი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ლაზიკაში, აფსაროსთან.

კლავდიოს პტოლემეაიოსის წიგნში – „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ წიგნი V, თავი VI – ჩამოთვლილია კაბადოკიის ადგილები, კერძოდ, მდ. აფსაროსისა და მისი შენაკადი ლიკოსის შემდეგ დასახელებულია **სებასტოპოლისი**. ის დასახელებულია ქალაქების ჩამონათვალთა ბოლოში – ის, ჩანს ითვლება კაბადოკიის უკიდურეს სასაზღვრო პუნქტად – (გ. გრიგოლია, „ვერის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“, გვ. 128).

ცხუმის სებასტოპოლისი შეუძლებელია ყოფილიყო კაბადოკიის სასაზღვრო პუნქტი.

პტოლემეაიოსი **აფსაროსსა და ფასისს შორის ათავსებს ქ. სებასტოპოლისს** (იქვე, გვ. 141). (პტოლემეაიოსის მიხედვით მდ. აფსაროსი არაა მდ. ფაზისი, თუმცა ორივეს ერთიდაიგივე დასახელების შენაკადი აქვს).

სებასტოპოლისი, პტოლემაიოსის მიხედვით, მდებარეობდა კოლხეთის სამხრეთით.

კოლხეთი მდებარეობდა კაბადოკიის შემდეგ, იწყებოდა დიოსკურია-სებასტოპოლისით და მთავრდებოდა მდ. ფასისით. ჩრდილოეთიდან „კოლხეთი მთავრდება ფაზისით“, „სამხრეთიდან ესაზღვრება კაბადოკიის პონტო და მისი მომდევნო დიდი არმენიის ნაწილი“ (იქვე, გვ. 128).

გ. გრიგოლია იხილავს ცნობილ Notitia Dignitatum-ს რომელსაც ქართულად ეწოდება – „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“ (გ. გრიგოლია, „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“, გვ. 120). ეს არის V საუკუნის ძეგლი, რომლის მიხედვითაც **„არმენიის სარდალს ექვემდებარება პონტოს სასაზღვრო ხაზი – ტრაპეზუნტი და პითია, ისულმენი, კენე პარამპოლე, სებასტოპოლი, ზიგანა, მოხორა“**.

გ. გრიგოლიას თვალსაზრისით, არმენიის სარდალს ექვემდებარებოდა არა აფხაზეთის **სებასტოპოლისი, პითია და ზიგანა**, არამედ ტრაპეზუნტის ოლქისა.

საქართველოს ისტორიოგრაფიაში არსებულ პრობლემებს სარკისებურად ასახავს დღეისათვის ფაქტიურად არსებული ვითარება, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას წინ უძღოდა იდეოლოგიური დამარცხება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისა საერთაშორისო ასპარეზზე.

ჯორჯ ჰიუტიმ ლაკმუსის ქალაქიდან წარმოაჩინა, რომ რუსული ოკუპაციის პერიოდში, XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბებულ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას უნარი არ შესწევს შექმნას მტკიცე მეცნიერული საფუძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასაცავად.

მაგალითად ჰიუტი, საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული სამეცნიერო აპარატის გამოყენებით ამტკიცებდა, რომ ისტორიულად აფხაზეთს არავითარი კავშირი არ ჰქონდა საქართველოსთან, რომ აფხაზეთი, და საერთოდ მთელი დასავლეთ საქართველო, თითქოსდა, ქართველებმა IX-X საუკუნეებში დაიპყრეს ე.წ. ქართიზაციის პროცესის შედეგად.

მისი მსჯელობები ეყრდნობოდა ქართიზაციის თეორიას, რომელიც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის საძირკველია. ანუ ჰიუტი იმეორებდა იმას, რაც მასზე წინ XX ს-ის ქართულ ისტორიკოსებს უკვე თეორიულად ჰქონდათ ჩამოყალიბებული, კერძოდ, თითქოსდა დასავლეთ საქართველო თავიდანვე ადიღური ტომებით იყო დასახლებული და შემდეგ გაჩნდა იქ ქართული ელემენტი, ხოლო, გაქრისტიანების შემდეგ, თითქოსდა დასავლეთ საქართველო თითქმის 600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა და მხოლოდ IX-X საუკუნეებიდან გავრცელდა იქ ქართული ეკლესიის იურისდიქცია ქართიზაციის პროცესის შედეგად, რასაც აფხაზთა სახელმწიფოს გაქრობა და აფხაზთა შევიწროება მოჰყვა შედეგად. ქართიზაციის თეორიამ ქართველი ერი სხვის დამპყრობლად და მოძალადედ წარმოაჩინა საერთაშორისო ასპარეზზე.

გ. გრიგოლიას დასკვნით, ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისი ეყრდნობა პროკოფი კესარიელისა და სხვა ძველი ავტორების ცნობებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას და არ შეეფარდებოდა სინამდვილეს.

გ. გრიგოლიას დასკვნები ცვლის ამჟამად არსებულ წარმოდგენებს დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ, ისინი ძალზე მნიშვნელოვანია ეკლესიის ისტორიისათვის.

XX ს-ში ჩვენში გაბატონებულ თვალსაზრისი, რომ კონსტანტინოპოლის ფასისის სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსოები, თითქოსდა, დასავლეთ საქართველოში მდებარეობდნენ მოითხოვს მკაცრ სამეცნიერო რევიზიას, მაგრამ ამ საკითხის შესახებ თავისი მტკიცება დადგენილების სახით გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის მმართველმა წმიდა სინოდმა.

წმიდა სინოდის განცხადება

2012 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმინდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II.

წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა:

ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX ს-ში, კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.

ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა“, ხოლო წმიდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ. 545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „ანდრია მოციქულიც და ნმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძენის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ“ (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47).

„საპატრიარქოს უწყებანი“, № 27, 2012